შეთანხმება N92-01

სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“-სა და შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი“-ს შორის 2016 წლის 29 დეკემბერის N92 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ.თბილისი 22 აგვისტო 2017 წელი

ერთის მხრივ, **სსიპ „საფინანსო-ანალიტიკური სამსახური“** (შემდგომში - „**შემსყიდველი**“) წარმოდგენილი სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის სახით და **შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი“**- (შემდგომში - „**მიმწოდებელი**“) წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია ლალიაშვილის სახით, (მხარეებად წოდებულნი) სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურსა და შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი“-ს შორის 2016 წლის 29 დეკემბრის N92 ხელშეკრულების მე-11 მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე ხელს აწერენ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში „შეთანხმება“) და თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. მხარეთა შორის 2016 წლის 29 დეკემბერს გაფორმებულ N92 ხელშეკრულებაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

1. ხელშეკრულების მე-2 მუხლი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2 ხელშეკრულების საგანი - GVP 205-ს, TEKSAN TJ335DW5C 50 Hz, FG WILSONP220-1-ს და AKSA 550 kva დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურებით უზრუნველყოფა, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. (CPV 50532300)“

2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) 2017 წლის 1 იანვრიდან - 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უზრუნველყოს დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურება (GVP 205-ის და FG WILSONP220-1 დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ.თბილისში გორგასლის ქუჩა №16 სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური, ხოლო TEKSAN TJ335DW5C 50 Hz-ს და AKSA 550 kva დიზელ გენარატორების ტექნიკური მომსახურება უნდა განხორციელდეს ქ. რუსთავი, წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე (ოცდამეერთე) კილომეტრი სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის სასერვერო)“

მუხლი 2. დასკვნითი დებულებები.

1. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე.

2. წინამდებარე შეთანხმება შედგენილია 2 (ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ქართულ ენაზე და შესაბამისად თითოეული ეგზემპლიარი გადაეცემა მხარეებს.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქუჩა №16;
ტელეფონი: 2261072, 2261095;
საბამკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204577813

მიმწოდებელი

შპს „ჯითიეს ელექტრონიქსი“
მისამართი: ქ. თბილისი, მოსკოვის გამზ N35,
ტელეფონი. 2 710 800,
საბამკო რეკვიზიტები სს „ვითიბი ბანკი“
ბანკის კოდი UGEBGE22, ა.ა GE28VT0400108014803602,
სკ-205029351,